 სსიპ კოლეჯი მოდუსი

4 ჟიული შარტავას გამზირი
3700 რუსთავი, საქართველო
+995 (0341) 25 20 41
info@modusi.ge

10/06/2026

MES 8 26 0000694998

ბრძანება

რუსთავი

სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" 2026 წლის საგაზაფხულო მიღებისთვის შესარჩევი კომისიების შემადგენლობისა და მოტივაციური გასაუბრების ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯი „მოდუსის" წესდების მე-5 მუხლის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების მე-8 მუხლის და ,,სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - კოლეჯ "მოდუსის" დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის N37715 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის საფუძველზე და სსიპ- კოლეჯი "მოდუსის" სასწავლო პროცესის მენეჯერის 2026 წლის 8 ივნისის N680697 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ - კოლეჯი "მოდუსის" 2026 წლის საგაზაფხულო მიღებისთვის საგანმანათ ლებლო პროგრამის "ელექტროობა" მოტივაციური გასაუბრების ჩატარების განრიგი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს სსიპ - კოლეჯი "მოდუსის" 2026 წლის საგაზაფხულო მიღებისთვის შესარჩევი კომისიის შემადგენლობა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა კომისიის წევრებისთვის და სსიპ - კოლეჯ „მოდუსის" საინფორმაციო სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტისათვის.
5. დაევალოს სსიპ - კოლეჯ „მოდუსის" საინფორმაციო სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტის ამ ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

სსიპ კოლეჯი "მოდუსი"
დირექტორი
ქავთარაძე ნინო